

დამტკიცებულია შპს „ახალი ქართულ-  
ევროპული სკოლის“ პედაგოგიური  
საბჭოს N1 სხდომაზე 2022 წლის 6  
სექტემბერს



შპს „ახალი ქართულ-ევროპული სკოლის“

2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

თბილისი

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებია:

- სკოლის მისია;
- სასწავლო წლის კალენდარი;
- დღის რეჟიმი;
- დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა (საჭიროების შემთხვევაში);
- მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა);
- სასკოლო საათობრივი ბადე და შემაჯამებელი დავალების რაოდენობა;
- გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;
- საგნობრივი კათედრები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;

2022-2023 სასწავლო წლის სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის №63/ნ - ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე.

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობს ქართულ ენაზე, დაწყებით (I-VI კლასები), საბაზო (VII-IX კლასები) და საშუალო (X-XII კლასები) საფეხურზე

### შპს „ახალი ქართულ-ევროპული სკოლის“ მისია

შპს „ახალი ქართულ - ევროპული სკოლის“ მისიაა აღზარდოს ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, ინტელექტუალური, თავისუფლად მოაზროვნე, მაღალი კულტურის, ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების გამზიარებელი, კანონმორჩილი და ტოლერანტი პიროვნება. მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული წამახალისებელი აქტივობებით, უახლესი სასწავლო მეთოდების გამოყენებით, ეროვნული და საერთაშორისო პროგრამების სინთეზით მოსწავლეებმა შეიძინონ ცოდნა, გამოიმუშაონ კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნებისა და მუდმივად ცვალებად გარემოში ადაპტაციის უნარი, რათა მათ დაიმკვიდრონ ღირსეული ადგილი საზოგადოებაში.

### სკოლის საერთო კულტურა

სკოლა, საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების საშუალებით, ხელს უწყობს:

- ა) ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის განურჩევლად მათი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური და მსოფლმხედველობრივი კუთვნილებისა; ბ) სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნას;

- გ) მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებასა და სამოქალაქო ჩართულობას;
- დ) ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას;
- ე) კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას;
- ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას;
- ზ) გარემოსდაცვით განათლებას მდგრადი განვითარებისთვის;
- თ) კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას;
- ი) სამეწარმეო უნარების განვითარებას და ინიციატივების წახალისებას.

**2022-2023 სასწავლო წლის კალენდარი**

1. სასწავლო წელი ითვალისწინებს ორ სემესტერს. სასწავლო წელს ორ სემესტრად ყოფს ზამთრის არდადეგები.
2. 2022-2023 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2022 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2023 წლის 15 ივნისი, გარდა I და XII კლასისა;
3. 2022-2023 სასწავლო წლის არდადეგები და უქმე დღეები:

მოსწავლეები დაისვენებენ სხვადასხვა უქმე დღეში:

თარიღი	დღესასწაული
<b>14</b> ოქტომბერი	სვეტიცხოვლობა
<b>23</b> ნოემბერი	გიორგობა
<b>7</b> იანვარი	შობა
<b>19</b> იანვარი	ნათლისღება
<b>3</b> მარტი	დედის დღე
<b>8</b> მარტი	ქალთა საერთაშორისო დღე
<b>9</b> აპრილი	საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.

<b>9</b> მაისი	ფაშიზმზე გამარჯვების დღე
<b>12</b> მაისი	ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღე.
<b>26</b> მაისი	საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
<b>14</b> ოქტომბერი	სვეტიცხოვლობა
<b>23</b> ნოემბერი	გიორგობა
<b>7</b> იანვარი	შობა
<b>19</b> იანვარი	ნათლისღება

ზამთრის არდადეგები 30 დეკემბერს დაიწყება და 14 იანვრის ჩათვლით გაგრძელდება.

საგაზაფხულო არდადეგები კი 8 მარტიდან დაიწყება და 14 მარტის ჩათვლით გაგრძელდება.

ოფიციალურად, სააღდგომო დღეებში დასვენება: დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, აღდგომა, მიცვალებულთა მოხსენიების დღე. წელს აღდგომა 16 აპრილსაა. შესაბამისად, მოსწავლეები 14 აპრილიდან 17 აპრილის ჩათვლით დაისვენებენ.

4. I კლასის მოსწავლეთათვის 2022-2023 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2023 წლის 25 მაისი, ხოლო XII კლასის მოსწავლეთათვის - 2023 წლის 20 მაისი;
5. 2022-2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრი მთავრდება 2022 წლის 28 დეკემბერს. მეორე სემესტრი იწყება 2023 წლის 15 იანვარს;
6. სასწავლო კვირა ხუთდღიანია.
7. I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი; 8. II კლასებში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 40 წუთი.

9. გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია დაშვებულ იქნეს გამონაკლისი, როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა შემდეგ შემთხვევებში: ა) ექსტრემალური პირობების დროს (ყინვა, განსაკუთრებული სიცხეები და ა.შ.);  
 ბ) სხვადასხვა სასკოლო ღონისძიების ჩატარების დროს.

სასწავლო პროცესი წარიმართება შემდეგი დღის რეჟიმით

I კლასი

№	გაკვეთილი		დასვენება	
	დაწყება	დამთავრება	დაწყება	დამთავრება
1	9 <sup>30</sup>	10 <sup>05</sup>	10 <sup>05</sup>	10 <sup>20</sup>
2	10 <sup>20</sup>	10 <sup>55</sup>	10 <sup>55</sup>	11 <sup>10</sup>
3	11 <sup>10</sup>	11 <sup>45</sup>	11 <sup>45</sup>	12 <sup>05</sup>
4	12 <sup>05</sup>	12 <sup>40</sup>	12 <sup>40</sup>	12 <sup>55</sup>
5	12 <sup>55</sup>	13 <sup>30</sup>		

შენიშვნა:

I კლასში გაკვეთილების ხანგრძლივობა 35 წუთია. გაკვეთილებს შორის 15 წუთიანი დასვენებებია, მესამე გაკვეთილის შემდეგ დიდი დასვენება 25 წუთიანია;

II კლასი

№	გაკვეთილი		დასვენება	
	დაწყება	დამთავრება	დაწყება	დამთავრება
1	9 <sup>30</sup>	10 <sup>10</sup>	10 <sup>10</sup>	10 <sup>20</sup>
2	10 <sup>20</sup>	11 <sup>00</sup>	11 <sup>00</sup>	11 <sup>10</sup>
3	11 <sup>10</sup>	11 <sup>50</sup>	11 <sup>50</sup>	12 <sup>05</sup>
4	12 <sup>05</sup>	12 <sup>45</sup>	12 <sup>45</sup>	12 <sup>55</sup>
5	12 <sup>55</sup>	13 <sup>35</sup>		

შენიშვნა:

II - კლასში გაკვეთილების ხანგრძლივობა 40 წუთია. გაკვეთილებს შორის 10 წუთიანი დასვენებებია, მესამე გაკვეთილის შემდეგ დიდი დასვენება 20 წუთიანია;

III -XIIკლასები

№	გაკვეთილი	დასვენება

	დაწყება	დამთავრება	დაწყება	დამთავრება
1	9 <sup>30</sup>	10 <sup>15</sup>	10 <sup>15</sup>	10 <sup>20</sup>
2	10 <sup>20</sup>	11 <sup>05</sup>	11 <sup>05</sup>	11 <sup>10</sup>
3	11 <sup>10</sup>	11 <sup>55</sup>	11 <sup>55</sup>	12 <sup>05</sup>
4	12 <sup>05</sup>	12 <sup>50</sup>	12 <sup>50</sup>	12 <sup>55</sup>
5	12 <sup>55</sup>	13 <sup>40</sup>	13 <sup>40</sup>	13 <sup>45</sup>
6	13 <sup>45</sup>	14 <sup>30</sup>	14 <sup>30</sup>	14 <sup>35</sup>
7	14 <sup>35</sup>	15 <sup>20</sup>		

შენიშვნა:

III -XII კლასებში გაკვეთილების ხანგძლივობა 45 წუთია. გაკვეთილებს შორის 5 წუთიანი დასვენებებია, მესამე გაკვეთილის შემდეგ დიდი დასვენება 15 წუთიანია.



სასწავლო დღის, გაკვეთილის ხანგრძლივობა მოსწავლის დატვირთვის ( გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების) მაქსიმალური რაოდენობა.

კლასი	I	II	III	IV	V	VI-VII	VIII	IX-XII
მაქსიმალური დასაშვები საათები (ასტრონომიული)	3,5	4,5	4,5	4,5	5,5	5,5	5,5	5,5
გაკვეთილების მაქსიმალური რაოდენობა	23,5	23	25	26	28	29	32	33-34

დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა

2022-2023 სასწავლო წელს საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სკოლა გადავიდეს დისტანციური ან შერეული (ჰიბრიდული) სწავლების მოდელზე.

სკოლაში დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მოდელების გამოყენებით:

- ა) სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობს საგაკვეთილო პროცესში სამინისტროს მიერ რეკომენდებული რომელიმე ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ერთდროულად ჩართვას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით);
- ბ) ასინქრონულად, რაც გულისხმობს ტელე/ვიდეოგაკვეთილების ან ხელმისაწვდომი სხვა ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების ან/და ბეჭდური რესურსების გამოყენებით სწავლა-სწავლებას;

გ) ჰიბრიდულად, რაც გულისხმობს სრულად ელექტრონული სინქრონული ან/და ასინქრონული და დასწრებით სწავლების კომბინირებულად გამოყენებას, რაც შეიძლება იყოს დიფერენცირებული საგნების, კლასებისა და განაყოფების მიხედვით (შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან შთანხმებით).

გარდა ამისა, დისტანციური სწავლების დროს გამოყენებული იქნება სხვადასხვა საგანმანათლებლო პლატფორმა, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო რესურსები, რომლებთან მუშაობა მოსწავლეებს შეუძლიათ დამოუკიდებლად (წინასწარ ჩაწერილი ვიდეოგაკვეთილები, მულტიმედიური რესურსები), ასევე სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომელთა შესრულების შემდეგ მოსწავლე სისტემისგან ავტომატურად იღებს შეფასებასა და უკუკავშირს და ა.შ.;

დისტანციური სწავლების დღის რეჟიმი და საათობრივი ბადე

ზოგადად, დისტანციურ სასწავლო პროცესში მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების გათვალისწინებით, სარეკომენდაციო დატვირთვის (გაკვეთილებზე გატარებული ასტრონომიული საათების) მაქსიმალური რაოდენობა იქნება შემდეგი:

კლასი	I-IV	V-IX	X-XII
მაქსიმალური დასაშვები საათები (ასტრონომიული) დღეში	1 საათი	1.5 საათი	2 საათი

ონლაინ გაკვეთილების რეკომენდებული ხანგრძლივობა იქნება შემდეგი:

- ა) I-IV კლასებში – 15-20 წუთი;
- ბ) V-IX კლასებში – 25-30 წუთი;
- გ) X-XII კლასებში – 35-40 წუთი.

ამასთანავე, დღეში მოხდება არაუმეტეს 3 გაკვეთილის ჩატარება.

დისტანციური სწავლების დროს გაკვეთილი დაიგეგმება იმგვარად, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნას სხვადასხვა ინტერაქტიული ტექნიკა, მათ შორის, 10-15-წუთიანი შესვენება ფიზიკური აქტივობით. პერიოდულად შეიძლება ჩატარდეს თვალის ვარჯიში, მაგ.: ეკრანიდან მზერის გადატანა შორს მდებარე საგანზე, თვალის 5-6-ჯერ დახამხამება.

## დისტანციური სწავლების მონიტორინგი

დისტანციური სწავლების დროს განხორციელდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი შემდეგი მიმართულებით:

- ა) ჩატარდა თუ არა დისტანციური გაკვეთილები დადგენილ დროსა და დადგენილი ხანგრძლივობით;
- ბ) მოხდა თუ არა დისტანციურ სასწავლო პროცესში ჩართული მოსწავლეების დასწრების აღრიცხვა;
- გ) მოხდა თუ არა დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი მოსწავლეების აღრიცხვა და მიზეზების კვლევა; დ) დაცულია თუ არა ეთიკისა და ქცევის ზოგადი ნორმები.

დისტანციური სწავლების დროს სასწავლო პროცესის მონიტორინგს განხორციელებს დირექტორი ლალი გარდახვაძე და დირექტორის მოადგილე კვირაში მინიმუმ ერთხელ.

## შპს „ახალი ქართლ-ევროპული სკოლის“ 2022- 2023 სასწავლო წლის

### საათობრივი ბადე

1. საათობრივი ბადე განსაზღვრავს მოსწავლეთა აუცილებელი კვირეული და წლიური დატვირთვის ოდენობას კლასების, სემესტრების და საგნების მიხედვით.
2. სკოლას გამოყენებული აქვს საათობრივი ბადის მეორე მოდელი მთელი აკადემიური წლის მანძილზე.

მოდელი II – საათობრივი ბადე, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის წლიურ ჯამურ საათებს და რომელშიც კვირეული დატვირთვა გადანაწილებულია სკოლის შეხედულებისამებრ სემესტრების/წლის მანძილზე;

საათობრივი ბაღე დაწყებითი საფეხურისთვის:

კლასები და სემესტრები		I კლასი		II კლასი		III კლასი		IV კლასი		V კლასი		VI კლასი	
	საგანი	ესგ	ახ. ქარ.ევრ	ესგ	ახ. ქარ.ევ	ესგ	ახ. ქ-ე	ესგ	ახ. ქ-ე	ესგ	ახ. ქ-ე	ესგ	ახ. ქ-ე
	სახელმწიფო ენა												
1	ქართული ენა და ლიტერატურა	7	7	7	7	6	6	6	6	5	6	5	6
	მათემატიკა												
2	მათემატიკა	4/5	6	5	6	5	6	5	6	5	6	4	6

	უცხოური ენები												
3	პირველი უცხოური ენა (ინგლისური)	0/1	2	2	4	3	5	3	5	3	5	3	5
4	მეორე უცხოური ენა (რუსული)					2	2	2	2	2	2	2	2
	საზოგადოებრივი მეცნიერებები												
5	მე და საზოგადოება					2	1	2	1				
6	ჩვენი საქართველო									2	2	3	3
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები												
7	ბუნებისმეტყველება	2	2	2	2	2	2	2	2	3	2	3	2
	ტექნოლოგიები												
8	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კომპიუტერული ტექნოლოგიები	0/1	0/1	1	1	1	1	1	1	2	1	2	1
	ესთეტიკური აღზრდა												
9	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	1	2	1	2	1	2	1	2	1	2	1

10	მუსიკა	2	1	2	1	2	1	2	1	2	1	2	1
	ფიზიკური აღზრდა და სპორტი												
11	ფიზიკური აღზრდა	3	2/1	3	2	3	2	3	2	2	2	2	2
	ჭადრაკი												
	სულ კვირეული საათობრივი დატვირთვა	21/22	22/23	24	24	26	27	26	27	28	28	28	29

საათობრივი ბაღე საბაზო საფეხურისთვის

კლასები	VII კლასი		VIII კლასი		IX კლასი	
	ესგ	ახ. ქართ.ევრ	ესგ	ახ.ქართ.ევრ	ესგ	ახ. ქართ.ევრ
საგნები						

სახელმწიფო ენა							
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	6	5	6	5	6
	მთემატიკა						
2	მათემატიკა	5	6	5	6	5	6
	უცხოური ენები						

3	პირველი უცხოური ენა (ინგლისური)	3	5	3	5	3/2	4
4	მეორე უცხოური ენა (რუსული)	2	2	2	2	2	2
	საზოგადოებრივი მეცნიერებები						
5	ისტორია	2	2	3	3	2/3	3
6	გეოგრაფია	2	2	2	2	2	2
7	სამოქალაქო განათლება	2	2	1	1	2	1
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები						
8	ბიოლოგია	2	2	2	2	2	2
9	ფიზიკა	2	2	2	2	2	2
10	ქიმია			2	2	2	2
	ესთეტიკური აღზრდა						
11	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	0/1	2/1	0/1	1/2	0/1
12	მუსიკა	2	1/0	1/2	1/0	2/1	1/0

სპორტი							
13	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	1	2	1	2	1
სულ საათების რაოდენობა		31	31	31	33	32	32

საათობრივი ბადე საშუალო საფეხურისთვის

კლასები	X კლასი		XI კლასი		XII კლასი	
საგნები	ესგ	ახ. ქართ.ევრ	ესგ	ახ.ქართ.ევრ	ესგ	ახ. ქართ.ევრ



	სახელმწიფო ენა						
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	6	5	6	5	6
	მათემატიკა						
2	მათემატიკა	5	6	5	6	5	4
	უცხოური ენები						
3	პირველი უცხოური ენა (ინგლისური)	2	4	2	4	3/2	6
4	მეორე უცხოური ენა (რუსული)	2	2	2	2	2	1
	საზოგადოებრივი მეცნიერებები						
5	ისტორია	2	2	3	3	2/3	3
5	საქართველოს ისტორია	2	2				
6	გეოგრაფია	2	2	2	2		
7	მოქალაქეობა	2	1				
8	სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება					1/0	1/0
9	საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება			1/0	1/0		

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები							
10	ბიოლოგია	2	2	2	2		
11	ფიზიკა	2	2	2	2		
12	ქიმია	2	2	3	2		
სპორტი							
13	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	1	2	1	2	1/0
	არჩევითი საგნები:	2	1	2	1		
	მეწარმეობის საფუძვლები; სახელმწიფო და სამართალი					1	2/0
სულ საათების რაოდენობა		32	31	31	31	19,5	22
პროექტი სამოქალაქო განათლებაში		1					
პროექტი სახვით და გამოყენები ხელოვნებაში/მუსიკაში		1					

შენიშვნა: მოსწავლემ მე-10 კლასში სახელოვნებო ბლოკის ორი პროექტიდან უნდა აირჩიოს ერთ-ერთი პროექტი: ან სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, ან მუსიკაში; თუ მე-10 კლასში აირჩია პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მაშინ მე-11 კლასში (მომდევნო საწავლო წლიდან ) აირჩევს პროექტს მუსიკაში ან პირიქით.

მე-12 კლასში სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება ისწავლება პირველ სემესტრში კვირაში 1 სთ; ხოლო არჩევითი საგანი სახელმწიფო და სამართალი ისწავლება პირველ სემესტრში კვირაში 2 სთ.

წლიური საათობრივი დატვირთვა

ა) დაწყებითი საფეხური

N	საგანი	I კლასი	II კლასი	III კლასი	IV კლასი	V კლასი	VI კლასი
	სახელმწიფო ენა						
1	ქართული ენა და ლიტერატურა	224	245	210	210	175	175
	მათემატიკა						
2	მათემატიკა	128-175	175	175	175	175	140
	უცხოური ენები						

3	პირველი უცხოური ენა	17	70	105	105	105	105
4	მეორე უცხოური ენა					70	70
	საზოგადოებრივი მეცნიერებები						
5	მე და საზოგადოება			70	70		
6	ჩვენი საქართველო					70	105
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები						
7	ბუნებისმეტყველება	64	70	70	70	105	105
	ტექნოლოგიები						
8	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კომპიუტერული ტექნოლოგიები	0-32	32	32	32	70	70
	ესთეტიკური აღზრდა						
9	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	64	70	70	70	70	70
10	მუსიკა	64	70	70	70	70	70
	სპორტი						

11	ფიზიკური აღზრდა	96	137	137	137	70	70
----	-----------------	----	-----	-----	-----	----	----

ბ) საბაზო საფეხური

	საგანი	VII კლასი	VIII კლასი	IX კლასი
	სახელმწიფო ენა			
1	ქართული ენა და ლიტერატურა	175	175	175

	მათემატიკა			
2	მათემატიკა	175	175	175
	უცხოური ენები			
3	პირველი უცხოური ენა	105	85	70
4	მეორე უცხოური ენა	70	70	70
	საზოგადოებრივი მეცნიერებები			
5	ისტორია	70	90	105

6	გეოგრაფია	70	70	70
7	მოქალაქეობა	70	35	70
	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები			
8	ბიოლოგია	70	70	70
9	ფიზიკა	70	70	70
10	ქიმია		70	70
	ესთეტიკური აღზრდა			
11	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	70	50	55
12	მუსიკა	70	55	50
	სპორტი			
13	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	70	70	70

საათობრივი ბაღე კლასების მიხედვით

ა) დაწყებითი საფეხური

ა.ა) I კლასი

	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა
		ესგ	ახ. ქართ.ევრ	
1	ქართული ენა და ლიტერატურა	7	7	
2	მათემატიკა	4/5	6	სკოლა ასწავლის ისტ-ს, მათემატიკას ეთმობა კვირაში 4 საათი.
3	პირველი უცხოური ენა (ინგლისური)	0/1	2	
4	ბუნებისმეტყველება	2	2	
5	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	0/1	0/1	
6	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	1	
7	მუსიკა	2	1	
8	ფიზიკური აღზრდა ჭადრაკი	3 1	2 1	

აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში	21/22	22/23	
---------------------------------------	-------	-------	--

ა.ბ) II კლასი

	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა
		ე ს გ	ახ. ქართ.ევ	
1	ქართული ენა და ლიტერატურა	7	7	
2	მათემატიკა	5	6	
3	პირველი უცხოური ენა (ინგლისური)	2	4	
4	ბუნებისმეტყველება	2	2	
5	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კომპიუტერული ტექნოლოგიები	1	1	
6	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	1	
7	მუსიკა	2	1	
8	ფიზიკური აღზრდა	3	2	
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში		24	24	



ა.გ) III კლასი

	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა
		ესგ	ახ.ქართ.ევრ	
1	ქართული ენა და ლიტერატურა	6	6	
2	მათემატიკა	5	6	
3	პირველი უცხო ენა (ინგლისური)	3	5	
4	მეორე უცხოური ენა(რუსული)		2	
5	მე და საზოგადოება	2	1	
6	ბუნებისმეტყველება	2	2	
7	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კომპიუტერული ტექნოლოგიები	1	1	
8	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	1	
9	მუსიკა	2	1	
10	ფიზიკური აღზრდა	3	2	
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში		26	27	

ა.დ) IV კლასი

	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შენიშვნა
		ესგ	ახ.ქართ.ევრ	
1.	ქართული ენა და ლიტერატურა	6	6	
2.	მათემატიკა	5	6	
3.	პირველი უცხოური ენა(ინგლისური)	3	5	
4.	მეორე უცხოური ენა(რუსული)		2	
5.	მე და საზოგადოება	2	1	
6.	ბუნებისმეტყველება	2	2	
7.	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები/კომპიუტერული ტექნოლოგიები	1	1	
8.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	1	
9.	მუსიკა	2	1	
10.	ფიზიკური აღზრდა	3	2	
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში		26	27	

ა.ე) V კლასი

	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა
		ესგ	ახ.ქარ.ევრ	II
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	6	5
2	მათემატიკა	5	6	6
3	პირველი უცხოური ენა(ინგლისური)	3	5	4
4	მეორე უცხოური ენა (რუსული)	2	2	3
5	ჩვენი საქართველო	2	2	3
6	ბუნებისმეტყველება	3	2	4
7	ისტ	2	1	2
8	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	1	2
9	მუსიკა	2	1	2
10	ფიზიკური აღზრდა	2	2	

აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში	28	28	
---------------------------------------	----	----	--

ა.ვ) VI კლასი

	საგანი	საათებისრაოდენობა კვირაში		შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
		ესგ	ახ.ქარ.ევრ	I	II
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	6	3	5
2	მათემატიკა	4	6	4	6
3	პირველი უცხოური ენა (ინგლისური)	3	5	4	4
4	მეორე უცხოური ენა (რუსული)	2	2	2	3
5	ჩვენი საქართველო	3	3	2	3
6	ბუნებისმეტყველება	3	2	3	4
7	ისტ	2	1	2	2
8	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	1	2	2
9	მუსიკა	2	1	2	2
10	ფიზიკური აღზრდა	2	2		

აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში	28	29		
---------------------------------------	----	----	--	--

ბ) საბაზო საფეხური:

ბ.ა) VII კლასი

	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
		ესგ	ახ.ქარ.ევრ	I სემესტრი	II სემესტრი
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	6	4	5
2	მათემატიკა	5	6	4	5
3	პირველი უცხოური ენა (ინგლისური)	3	5	3	4
4	მეორე უცხოური ენა (რუსული)	2	2	2	3
5	ისტორია	2	2	2	3
6	გეოგრაფია	2	2	2	3
7	მოქალაქეობა	2	2	2	3
8	ბიოლოგია	2	2	2	3

9	ფიზიკა	2	2	2	3
10	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2	0/1	2	3
11	მუსიკა	2	1/0	2	3
12	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	1		
საათების ჯამური რაოდენობა კვირაში		31	31		

შენიშვნა: კონკრეტულ საგანში შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა ემთხვევა წლის მანძილზე სასწავლო თემების რაოდენობას.

ბ.ბ) VIII კლასი

	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
		ესგ	ახ.ქარ.ევრ	I სემესტრი	II სემესტრი
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	6	4	5
2	მათემატიკა	5	6	4	5
3	პირველი უცხოური ენა (ინგლისური)	3	5	3	4
4	მეორე უცხოური ენა (რუსული)	2	2	2	3

5	ისტორია	2	3	2	3
6	გეოგრაფია	2	2	2	3
7	მოქალაქეობა	1	1	2	3
8	ბიოლოგია	2	2	2	3
9	ფიზიკა	2	2	2	3
10	ქიმია	2	2	2	3
11	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	2/1	0/1	0	2
12	მუსიკა	1/2	1/0	3	0
13	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	1		
საათების ჯამური რაოდენობა კვირაში		31	33		

შენიშვნა: კონკრეტულ საგანში შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა ემთხვევა წლის მანძილზე სასწავლო თემების რაოდენობას.

ბ.გ) IX კლასი

საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა
	ესგ	ახ.ქარ.ევრ	

				I სემესტრი	II სემესტრი
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	6	2	3
2	მათემატიკა	5	6	4	5
3	პირველი უცხოური ენა(ინგლისური)	2/3	4	3	4
4	მეორე უცხოური ენა (რუსული)	2	2	2	3
5	ისტორია	3/2	3	2	3
6	გეოგრაფია	2	2	2	3
7	მოქალაქეობა	2	1	2	3
8	ბიოლოგია	2	2	2	3
9	ფიზიკა	2	2	2	3
10	ქიმია	2	2	2	3
11	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	1/2	0/1		2
12	მუსიკა	2/1	1/0	3	
13	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	1		
	საათების ჯამური რაოდენობა კვირაში	32	32		

შენიშვნა: კონკრეტულ საგანში შემავალი დავალებების მინიმალური რაოდენობა ემთხვევა წლის მანძილზე სასწავლო თემების რაოდენობას.



გ. ა) X კლასი

	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
		ესგ	ახ.ქარ.ევრ	I სემესტრი	II სემესტრი
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	6	4	5
2	მათემატიკა	5	6	4	5
3	პირველი უცხოური ენა(ინგლისური)	2	4	3	4
4	მეორე უცხოური ენა (რუსული)	2	2	2	3
5	ისტორია	2	2	2	3
6	საქართველოს ისტორია	2	2	2	3
7	გეოგრაფია	2	2	2	3
8	მოქალაქეობა	2	1	2	3
9	ბიოლოგია	2	2	2	3
10	ფიზიკა	2	2	2	3
11	ქიმია	2	2	2	3
12	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	1		

13	არჩევითი საგანი (მეწარმეობის საფუძვლები)	2	1		
	საათების ჯამური რაოდენობა კვირაში	32	33		
	პროექტი სამოქალაქო განათლებაში პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში/მუსიკაში	1 1			

XI კლასი

ქართ	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
		ესგ	ახ.ქარ.ევრ	სემესტრი	
				I	II
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	6	4	5
2	მათემატიკა	5	6	4	5
3	პირველი უცხოური ენა(ინგლ)	2	4	2	3
4	მეორე უცხოური ენა (რუს)	2	2	2	3
5	ისტორია	3	3	2	3
6	გეოგრაფია	2	2	2	3
7	ბიოლოგია	2	2	2	3
8	ფიზიკა	2	2	2	3
9	ქიმია	3	2	2	3
10	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	1.5	1 0		
11	საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება	1.5	0 1		

12	არჩევითი საგნები: მეწარმეობის საფუძვლება	2	1	1	1
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში		31	31 – 32-ია		

XII კლასი

N	საგანი	საათების რაოდენობა კვირაში		შემაჯამებელი დავალების სავალდებულო მინიმალური რაოდენობა	
		ეს გ	ახ. ქართ.ევრ.	სემესტრი	
				I	II
1	ქართული ენა და ლიტერატურა	5	6	4	4
2	მათემატიკა	5	4	4	4
3	პირველი უცხოური ენა(ინგლ)	2	6	3	2
4	მეორე უცხოური ენა (რუს)	2	1	4	
5	ისტორია	2	3	1	1
6	გეოგრაფია				
7	სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება	0.5	1 0	1	
8	ბიოლოგია				
9	ფიზიკა				

10	ქიმია				
11	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	2	1 0		
	არჩევითი საგანი				
12	სახელმწიფო და სამართალი	1	2/0	2	
აუცილებელი საათების რაოდენობა კვირაში		19.5	22		

## საგნობრივი კათედრის მუშაობის პრინციპები

სკოლაში ფუნქციონირებს 6 საგნობრივი კათედრა:

1. ქართული ენა და ლიტერატურის;
2. ტექნიკური მიმართულების (მათემატიკა, ინფორმატიკა);
3. საბუნებისმეტყველო საგნების (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა);
4. საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება);
5. ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური (ფიზიკური აღზრდა და სპორტი, მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება);
6. უცხოური ენების (ინგლისური, რუსული).

კათედრების ფუნქციებია:

- საგნობრივი ჯგუფის საგნის/საგნების სწავლების კოორდინირება;
- კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება;
- საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევა და პედაგოგიური საბჭოსთვის წარდგენა;
- სხვა კათედრებთან კოორდინირებული მუშაობა;
- ზრუნვა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის;
- რეკომენდაციების შემუშავება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით;
- შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაციის, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი;

- კათედრის წევრებიდან ირჩევა კათედრის თავმჯდომარე, ერთი სასწავლო წლის ვადით, ხმათა უმრავლესობით. ერთი და იმავე პირის არჩევა კათედრის თავმჯდომარედ შესაძლებელია ზედიზედ სამჯერ.

კათედრის თავმჯდომარის ფუნქციებია:

- კათედრის შეხვედრების ორგანიზება (დღის წესრიგის მომზადება, ოქმებისა და სხვა დოკუმენტაციის წარმოება-შენახვა);
- კათედრის შეხვედრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების მიწოდება სკოლის მართვის ორგანოებისათვის (მაგ. გრიფინიჭებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის არჩევის თაობაზე);
- მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის სასარგებლო აქტივობების (კოლეგებთან შეხვედრების, ტრენინგების, კონფერენციების და სხვა) ორგანიზება.

კათედრა იკრიბება სემესტრში მინიმუმ ორჯერ (მათ შორის, პირველი სემესტრის დაწყებამდე და ყოველი სემესტრის დასრულებისას საგნის სწავლების შეჯამების და ანალიზის მიზნით).

### მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა

1.

შეფასების მიზანი

მოსწავლის შეფასების მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ.

მოსწავლის შეფასების ამოცანები

მოსწავლის შეფასების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- ა) აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება;
- ბ) ახალი სასწავლო საკითხის/თემის დაწყებამდე დაადგინოს მოსწავლის წინარე ცოდნა და წარმოდგენები;
- გ) გამოავლინოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად; დ) მოიცვას სამივე კატეგორიის ცოდნა;
- ე) აჩვენოს, რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში.

ძირითადი ამოცანების გადასაჭრელად მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი მიენიჭება კომპლექსურ, კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ.

## 2. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეთა შეფასება დაუკავშირდეს არა მხოლოდ სწავლების შედეგს, არამედ სწავლის პროცესსაც. ამის უზრუნველსაყოფად სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი.

განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს;

განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლის წინსვლასა და განვითარებას. განმავითარებელი შეფასებით ფასდება ცოდნის კონსტრუირებისა და ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესი, მოსწავლის მიერ თავისივე ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენის უნარი, ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესი, ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარი, ასევე დგინდება წინარე ცოდნა/წარმოდგენები.

## 3. მოსწავლეთა გამსაზღვრელი შეფასების სისტემა

სკოლაში შეფასების სისტემა არის ხუთდონიანი და ათქულიანი. 10 ყველაზე მაღალი ნიშანია, 1 კი – ყველაზე დაბალი. ათქულიანი სისტემა, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი შეფასების საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ, მეტ საშუალებას აძლევს მასწავლებელს, აჩვენოს მოსწავლეს პროგრესი თუ რეგრესი.

მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასება დონეებისა და ნიშნების მიხედვით

ქულები	შეფასების დონეები
10	მაღალი
9	
8	საშუალოზე მაღალი
7	
6	საშუალო
5	საშუალოზე დაბალი
4	
3	
2	დაბალი
1	

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში მხოლოდ განმავითარებელი შეფასება გამოიყენება. წლის ბოლოს საგნის მასწავლებლებმა უნდა დაწერონ მოსწავლის მოკლე წერილობითი შეფასება, რომელშიც დაახასიათებს მოსწავლეს, აღნიშნავს მის წარმატებებს და მიუთითებს, რაში სჭირდება მოსწავლეს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების უკეთ



გამოსავლენად. კლასის დამრიგებელმა, საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს უნდა დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულა არის 1, ხოლო ყველაზე მაღალი ქულა - 10.

V კლასის II სემესტრიდან XII კლასის ჩათვლით სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში მოსწავლე ფასდება ჩათვლის სისტემით: ჩათვალა/არ ჩათვალა.


#### 4. ოფიციალური სტატუსის მქონე ნიშნები

ოფიციალური სტატუსი აქვს შემდეგ ნიშნებს:

- საგნის მიმდინარე და შემაჯამებელი ქულა – საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი კომპონენტის ნიშნები, რომლებსაც მოსწავლე იღებს სემესტრის განმავლობაში;
- საგნის სემესტრული ქულა – საგანში მიღებული შეფასება თითოეულ სემესტრში (სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში გამოითვლება მისი გათვალისწინებით; გამოთვლის წესი იხ.ქვემოთ);
- საგნის წლიური ქულა – სემესტრული ნიშნებიდან გამომდინარე შეფასება საგანში. გამონაკლისს წარმოადგენს მეხუთე კლასის წლიური ქულა, რომელიც მეორე სემესტრის საგნის სემესტრული ქულის იდენტურია.
- საფეხურის საერთო ქულა – ზოგადი განათლების რომელიმე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) საერთო შეფასება.

#### 5. საგნის სემესტრული ნიშნის შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები)

სემესტრის მანძილზე მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით:



1. საშინაო დავალება
2. საკლასო დავალება
3. შემაჯამებელი დავალება

სემესტრის განმავლობაში განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან შემდეგ კომპონენტებში: ა) მიმდინარე საკლასო დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები),  
 ბ) მიმდინარე საშინაო დავალება (VII-XII კლასები),  
 გ) შემაჯამებელი დავალება (V კლასის მეორე სემესტრი, VI-XII კლასები).

I-VI კლასებში საშინაო დავალების კომპონენტში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

I-IV კლასებსა და V კლასის პირველ სემესტრში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტებში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება.

	I-IV კლასები და V კლასის პირველი სემესტრი	V კლასის მეორე სემესტრი და VI კლასი	საბაზო-საშუალო საფეხურები
--	---	-------------------------------------	---------------------------

მიმდინარე საშინაო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
მიმდინარე საკლასო დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება
შემაჯამებელი დავალება	განმავითარებელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება	განმავითარებელი შეფასება განმსაზღვრელი შეფასება

**საშინაო, საკლასო და შემაჯამებელ დავალებათა კომპონენტები**

საშინაო დავალების კომპონენტით ფასდება ნებისმიერი ტიპის დავალება (წერიტი, ზეპირი, ექსპერიმენტი, ნამუშევარი (მაგ. ნახატი, ესე და სხვ.), რასაც მოსწავლე სახლში ამზადებს.

საშინაო და საკლასო დავალებებში განმავითარებელი შეფასების გამოყენება განსაკუთრებით მაშინ არის სასურველი, როცა მოსწავლე ახალი ცოდნის/უნარების შეძენის საწყის ეტაპზეა. ამ დროს შეცდომების დაშვება, მათი აღმოჩენა-გაანალიზება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია.

საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე საშინაო და საკლასო დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. სასკოლო სასწავლო გეგმას დანართი N 1 სახით თან ერთვის ზოგადი შეფასების რუბრიკები.

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესე დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი

სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებაში 10 ქულაზე მეტი შეფასების რუბრიკის გამოყენების შემთხვევაში, მიღებული ქულის 10 ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება შემდეგი პრინციპით: მიღებული ქულა უნდა გამრავლდეს 10-ზე და გაიყოს მაქსიმალურ ქულაზე (მაგ. თუ შეფასების რუბრიკა არის 40 ქულიანი და მოსწავლემ მიიღო 27 ქულა, ქულის კონვერტაცია ხდება შემდეგი სახით:  $(27 \cdot 10 : 40 = 6,75)$ ).

## შემაჯამებელი დავალებების კომპონენტი

შემაჯამებელი დავალების კომპონენტი უკავშირდება სწავლა-სწავლების შედეგს. ამ კომპონენტში ფასდება ერთი სასწავლო მონაკვეთის (თემა, თავი, პარაგრაფი, საკითხი) შესწავლა-დამუშავების შედეგად მიღწეული შედეგები. კონკრეტული სასწავლო ერთეულის დასრულებისას მოსწავლემ უნდა წარმოაჩინოს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარები.

## 6. შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი

შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი: მოსწავლე ვალდებულია შეასრულოს კლასში ჩატარებული ყველა შემაჯამებელი დავალება, გაცდენის შემთხვევაში მოსწავლეს ენიშნება აღდგენითი შემაჯამებელი დავალება, რომელიც შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალური ან ჯგუფური გრაფიკის მიხედვით, გაკვეთილების შემდეგ.

შემაჯამებელი დავალების აღდგენა მოხდება მოსწავლის სკოლაში გამოცხადებიდან 2 კვირის შემდეგ სემესტრის დასრულებამდე ან მობილობის შემთხვევაში, სკოლის მიერ ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე.

სტანდარტის მოთხოვნათა შესასრულებლად აუცილებელია შემაჯამებელი დავალების კომპონენტში კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). ამგვარ დავალებაში შესრულებული სამუშაოს მრავალმხრივი შეფასებისათვის პედაგოგმა უნდა შეიმუშავოს მოსწავლეების შეფასების კრიტერიუმები.

## 1. ქულების გამოანგარიშების წესი

1. საგნის სემესტრული ქულის გამოანგარიშების წესი:

- ა) მოსწავლის მიერ სემესტრის განმავლობაში სამივე კომპონენტში (საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი) მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულების რაოდენობაზე;
  - ბ) მიღებული ქულა დამრგვალდება მთელის სიზუსტით (მაგ., 6.15 მრგვალდება 6-მდე, 7.49 მრგვალდება 7-მდე, 8.5 მრგვალდება 9-მდე);
  - გ) იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არა აქვს შესრულებული ყველა ჩატარებული შემაჯამებელი დავალება, მისი სემესტრული ქულის გამოსაანგარიშებლად სამივე კომპონენტში მიღებული ქულების ჯამი გაიყოფა მიღებული ქულებისა და შეუსრულებელი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის ჯამზე.
  - დ) თუ სემესტრის განმავლობაში სკოლიდან სკოლაში გადასვლისას აღმოჩნდება, რომ მიმღებ სკოლაში რომელიმე საგანში/საგნებში ჩატარებულია შემაჯამებელი დავალების/დავალებების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გამშვებ სკოლაში, მიმღები სკოლა მოსწავლის შემაჯამებელი დავალების რაოდენობას დაითვლის გამშვებ სკოლაში დადგენილი და მოსწავლის მიერ შესრულებული, ასევე მიმღებ სკოლაში მოსწავლის გადმოსვლის მომენტიდან ჩატარებული და მის მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებების მიხედვით;
  - ე) სემესტრული გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, სემესტრული ქულა გამოითვლება მისი გათვალისწინებით: გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
2. საგნის წლიური ქულის გამოანგარიშების წესი:
- ა) საგნის წლიური ქულის გამოსაანგარიშებლად საგნის სემესტრული ქულების ჯამი გაიყოფა ორზე;
  - ბ) საგნის წლიური ქულა მრგვალდება მთელის სიზუსტით;
  - გ) სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში, რომელშიც დაგეგმილია წლიური გამოცდის ჩატარება, გამოცდის ქულაც აისახება წლიურ ქულაზე, კერძოდ, საგნის წლიური ქულა სამი ქულის საშუალო არითმეტიკული იქნება (დამრგვალებული მთელის სიზუსტით).

დ) თუ მოსწავლეს, სკოლიდან სკოლაში სემესტრის მიმდინარეობისას გადმოსვლის გამო, მოუხდება განსხვავებული საგნების სწავლა და მანამდე ნასწავლ საგანში მიღებული აქვს შეფასება, რომლის საშუალო არითმეტიკული არის 5.0 ან მეტი, ეს ქულა დაუფიქსირდება

ნასწავლი საგნის სემესტრულ/წლიურ ქულად (თუ საგნის სწავლება მეორე სემესტრში არ გრძელდება). ამასთან, სკოლამ უნდა შეაფასოს მოსწავლე ახალ განსხვავებულ საგანში, თუ ეს ესწრება სემესტრის დასრულებამდე;

ე) მოსწავლის მიერ სემესტრის დასრულების შემდეგ სკოლიდან სკოლაში გადმოსვლის გამო, სკოლაში განსხვავებული საგნის სწავლის შემთხვევაში, განსხვავებული საგნების სემესტრული ქულები აღირიცხება, როგორც ორი დამოუკიდებელი საგნის წლიური ქულა. (მაგ. თუ მოსწავლე პირველ სემესტრში უცხოურ ენად სწავლობდა ფრანგულს, მეორე სემესტრში კი ფრანგულის ნაცვლად - გერმანულს, მაშინ ფრანგული ენის სემესტრული ქულა გადადის ფრანგული ენის წლიურ ქულად, ხოლო გერმანული ენის სემესტრული ქულა - გერმანული ენის წლიურ ქულად).

4. საფეხურის საერთო ქულის გამოანგარიშების წესი:

ა) საფეხურის ქულის გამოთვლისას ჯამდება საფეხურის მანძილზე ნასწავლი ყველა საგნის წლიური ქულა და ჯამი იყოფა ქულების საერთო რაოდენობაზე;

ბ) საფეხურის საერთო ქულა მრგვალდება მეათედის სიზუსტით (მაგ., 6.43 მრგვალდება 6.4-მდე, 7.58 მრგვალდება 7.6-მდე).

გ) დამატებითი სავალდებულო საგნის/საგნების შეფასება არ იანგარიშება საფეხურის ქულის გამოთვლისას.

## 8. კლასისა და საფეხურის დაძლევა

1. კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის თითოეული საგნის წლიური ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და მოსწავლეს მიღებული აქვს ჩათვლა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნებში - სპორტის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ საგნებში, საგანში „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება“ და არჩევით საგნებში, რაც აძლევს მას მომდევნო კლასში გადასვლის უფლებას.

2. დაწყებითი საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დაძლეული აქვს V-VI კლასები, რაც აძლევს მას საბაზო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლებას.

3. საბაზო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საბაზო საფეხურში შემავალი ყველა კლასი, რაც აძლევს მას საბაზო განათლების ატესტატის აღების ან/და საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლებას.

4. საშუალო საფეხური დაძლეულად ჩაითვლება, თუ მოსწავლის საფეხურის საერთო ქულა (დამრგვალების შემდეგ) არის 5.0 ან მეტი და ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დაძლეული აქვს საშუალო საფეხურში შემავალი ყველა კლასი.

## 9. შეფასება და გაცდენები

1. მოსწავლეთა გაცდენები აღირიცხება მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალში, მათ შორის, ამ მუხლის მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული გაცდენები. გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების ყოველდღიური აღრიცხვის წარმოებაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი. თითოეული მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში აღრიცხავს მოსწავლეთა დასწრებას.
2. თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინა კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტი არ ვრცელდება კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30%-ში არ იანგარიშება ის გაცდენილი დღე/დღეები, როცა ჩატარდა შემაჯამებელი დავალება, თუკი ის მოგვიანებით მოსწავლემ აღადგინა.
4. სკოლა შინ სწავლების რეჟიმზე გადაიყვანს იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში მოსწავლეზე, შინ სწავლებაზე გადასვლის მომენტიდან, არ გავრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
5. იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ ეროვნულ და საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო ღონისძიებებში, აგრეთვე, საერთაშორისო და ეროვნულ საგნობრივ ოლიმპიადებში, სკოლის გაცდენის შემთხვევაში, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, სკოლის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების კონკრეტული მოსწავლის მიმართ გაუვრცელებლობის თაობაზე.

## 10. გამოცდის ტიპები

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, 2021-2022 სასწავლო წელს სკოლაში შესაძლებელია ჩატარდეს შემდეგი ტიპის გამოცდები:

1. სემესტრული გამოცდა;
2. საშემოდგომო გამოცდა;
3. ექსტერნატის გამოცდა;
4. წლიური გამოცდა;

### 10.1 სემესტრული გამოცდა

1. სემესტრული გამოცდა ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე თვლის, რომ მას უფრო მაღალი შეფასება ეკუთვნის.

2. სემესტრული გამოცდის დანიშვნისთვის მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი სკოლის დირექტორს მიმართავს პირველი სემესტრის შეფასების შემთხვევაში - მეორე სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის შემთხვევაში - სემესტრის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. დირექტორი განიხილავს საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას მოსწავლის სემესტრულ გამოცდაზე დაშვება-არდაშვების შესახებ. დაშვებაზე უარის შემთხვევაში, გადაწყვეტილება იქნება დასაბუთებული.
3. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, სკოლამ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები გამოცდის ობიექტურად და მიუკერძოებლად ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით.
4. მოსწავლის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, გამოცდაზე გასული მოსწავლის საგნის სემესტრული ნიშანი გამოითვლება შემდეგი წესით: სემესტრული გამოცდის ქულა ემატება საგნის სემესტრულ ქულას და ჯამი იყოფა ორზე.
5. პირველი სემესტრის სემესტრული გამოცდა ინიშნება მეორე სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის ვადაში, ხოლო მეორე სემესტრის სემესტრული გამოცდა - სემესტრის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

## 10.2 საშემოდგომო გამოცდა

1. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგნის წლიური ქულა იქნება 5-ზე ნაკლები, სკოლა დაუნიშნავს საშემოდგომო გამოცდას ამ საგანში; 2. საშემოდგომო გამოცდამდე სკოლა კონსულტაციებს გაუწევს მოსწავლეებს იმ საგანში/საგნებში, რომლებშიც მათ დაენიშნებათ აღნიშნული ტიპის გამოცდა;
3. მოსწავლე საგნის/საგნების წლიურ შეფასებას მიიღებს საშემოდგომო გამოცდის საფუძველზე (საშემოდგომო გამოცდის ქულა ხდება საგნის წლიური ქულა);
4. სკოლა საშემოდგომო გამოცდებს ჩაატარებს წერილობით ტესტირების ფორმით, 2022 წლის 30 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით.

## 10.3 ექსტერნატის ფორმით გამოცდა

1. ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების წესი და პირობები განისაზღვრება კანონმდებლობით;
2. ექსტერნატის გამოცდას აბარებენ ის პირები, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს ძირითადად დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს („წინმსწრები“) და აგრეთვე, ის მოსწავლეები, რომელთაც საბაზო/საშუალო საფეხურზე სასწავლო წლის მანძილზე კონკრეტული საგნისათვის გათვალისწინებული საათების 30% და მეტი აქვთ გაცდენილი.



## მოსწავლის აკადემიური მიღწევის აღიარება

შეფასების მაღალი დონე (ქულები 9-დან 10-ის ჩათვლით) გულისხმობს სასწავლო წლის ან საფეხურის წარჩინებით დამთავრებას.

## საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი

სკოლა უზრუნველყოფს სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსების (ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და სხვ.) ხელმისაწვდომობას მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. საგანმანათლებლო რესურსების ტიპებია:

- ა) გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე სამინისტროსთან შეთანხმებული სახელმძღვანელო/სერია;
- გ) დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები;
- დ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.).

2022-2023 სასწავლო წელს შპს „ახალი ქართულ-ევროპული სკოლის“ მიერ გამოსაყენებელი  
გრიფინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა

N	საგანი	გამომცემლობა		ავტორი
1	ქართული	მერიდიანი	I-II ნაწილი	მალაქელიძე
	რვეული	მერიდიანი		მალაქელიძე
2	მათემატიკა	„ინტელექტი“	I-II-III ნაწილი	გ. გოგიშვილი
	რვეული	„ინტელექტი“	რვეული	გ. გოგიშვილი
3	ინგლისური	ბაკურ სულაკაური	წიგნი	Kristina Cajo Andel.
	რვეული	ბაკურ სულაკაური	რვეული	Kristina Cajo Andel.
4	ბუნებისმეტყველება	ინტელექტი	წიგნი	მ. ვარდიაშვილი
	რვეული	ინტელექტი	რვეული	მ. ვარდიაშვილი
5	ხელოვნება	მერიდიანი	რვეული	მაჭარაშვილი
6	მუსიკა	„წყაროსთვალი“	წიგნი	ოთიაშვილი

## II კლასი

N	საგანი	გამომცემლობა		ავტორი
1	ქართული	მერიდიანი	I-II ნაწილი	მალაქელიძე
	რვეული	მერიდიანი	I-II ნაწილი	მალაქელიძე
2	მათემატიკა	„ინტელექტი“	I-II- III ნაწილი	გოგიშვილი
	რვეული	„ინტელექტი“	I-II ნაწილი	გოგიშვილი
3	ინგლისური	ბაკურ სულაკაური	წიგნი	Kristina Cajo Andel.

	რვეული	ბაკურ სულაკაური	რვეული	Kristina Cajo Anel.
4	ბუნებისმეტყველება	ინტელექტი	I-II ნაწილი	მ. ვარდიაშვილი
	რვეული	ინტელექტი	რვეული	მ. ვარდიაშვილი
5	ხელოვნება	მერიდიანი	რვეული	მაჭარაშვილი
6	მუსიკა	„წყაროსთვალი“	წიგნი	ოთიაშვილი

### III კლასი

N	საგანი	გამომცემლობა		ავტორი
1	ქართული	მერიდიანი	I-II ნაწილი	მალლაკელიძე
	რვეული	მერიდიანი	I-II ნაწილი	მალლაკელიძე
2	მათემატიკა	„ინტელექტი“	I-II-III ნაწილი	გოგიშვილი
3	ინგლისური	ბაკურ სულაკაური	I-II ნაწილი	Kristina Cajo Anel.
	რვეული	ბაკურ სულაკაური	I-II ნაწილი	Kristina Cajo Anel.
4	რუსული	შპს „21 საუკუნე“	წიგნი	ბარსეგოვა დ 1
	რვეული	შპს „21 საუკუნე“	რვეული	ბარსეგოვა დ 1
5	ბუნებისმეტყველება	„ინტელექტი“	I-II ნაწილი	მ.ვარდიაშვილი
	ბუნებისმეტყველება	„ინტელექტი“	რვეული	მ.ვარდიაშვილი
6	ხელოვნება	მერიდიანი	I-II წიგნი	ნ.მაჭარაშვილი

	რვეული	მერიდიანი	რვეული	ნ.მაჭარაშვილი
7	მუსიკა	„წყაროსთვალი“	წიგნი	ოთიაშვილი
	მუსიკა	„წყაროსთვალი“	რვეული	ოთიაშვილი
8	მე და საზოგადოება	„სიდი“	I-II ნაწილი	ნ.ტალახაძე
	რვეული	„სიდი“	I-II ნაწილი	ნ.ტალახაძე

IV კლასი

N	საგანი	გამომცემლობა		ავტორი
1	ქართული	მერიდიანი	I-II ნაწილი	მალლაკელიძე
	რვეული	მერიდიანი	I-II ნაწილი	მალლაკელიძე
3	მათემატიკა	„ინტელექტი“	I-II-III-IV ნაწილი	გოგიშვილი
4	ინგლისური	ბაკურ სულაკაური	I-II ნაწილი	Kristina Cajo Andel.
	რვეული	ბაკურ სულაკაური	რვეული	Kristina Cajo Andel.
5	რუსული	შპს „21 საუკუნე“	წიგნი	ბარსეგოვა დ 2
	რვეული	შპს „21 საუკუნე“	რვეული	ბარსეგოვა დ 2
6	ბუნებისმეტყველება	ინტელექტი	წიგნი	მ. ვარდიაშვილი
	ბუნებისმეტყველება	ინტელექტი	რვეული	მ. ვარდიაშვილი
7	ხელოვნება	მერიდიანი	I-II წიგნი	მაჭარაშვილი
	ხელოვნება	მერიდიანი	რვეული	მაჭარაშვილი
8	მუსიკა	„წყაროსთვალი“	წიგნი	ოთიაშვილი

	რვეული	„წყაროსთვალი“	რვეული	ოთიაშვილი
9	მე და საზოგადოება	„სიდი“	I-II ნაწილი	ნ.ტალახაძე
	რვეული	„სიდი“	I-II ნაწილი	ნ.ტალახაძე

V კლასი

N	საგანი	გამომცემლობა		ავტორი
1	ქართული	სწავლანი	I-II ნაწილი	ვ. როდონაია
2	ენის წიგნი	სწავლანი	წიგნი	ვ. როდონაია
	რვეული	სწავლანი	რვეული	ვ. როდონაია
3	მათემატიკა	„ინტელექტი“	I-II-III ნაწილი	გოგიშვილი
4	ინგლისური	ბაკურ სულაკაური	I-II ნაწილი	Boka Lekaj Lubina
	რვეული	ბაკური სულაკაური	I-II ნაწილი	Boka Lekaj Lubina
5	რუსული	შპს „21 საუკუნე“	წიგნი	ბარსეგოვა დ 3
	რვეული	შპს „21 საუკუნე“	რვეული	ბარსეგოვა დ 3
6	ჩვენი გარემო ( ბუნება)	სულაკაური	წიგნი	ბლიაძე, ახვლედიანი
7	ხელოვნება	დიოგენე	წიგნი	ნ. კუნჭულია
8	ჩვენი საქართველო	კლიო	I-II ნაწილი	ავთანდილაშვილი
	რვეული	კლიო	რვეული	ავთანდილაშვილი
9	მუსიკა	„წყაროსთვალი“	წიგნი	ოთიაშვილი
	რვეული	„წყაროსთვალი“	წიგნი	ოთიაშვილი

VI კლასი

N	საგანი	გამომცემლობა		ავტორი
1	ქართული	სწავლანი	წიგნი	ვ. როდონაია
2	ლიტერატურა	სწავლანი	I-II ნაწილი	ვ. როდონაია
	რვეული	სწავლანი	რვეული	ვ. როდონაია
3	მათემატიკა	„ინტელექტი“	I-II-III ნაწილი	გოგიშვილი
4	ინგლისური	ბაკურ სულაკაური	I-II ნაწილი	Boka Lekaj Lubina
	რვეული	ბაკურ სულაკაური	რვეული	Boka Lekaj Lubina
5	რუსული	შპს „21 საუკუნე“	წიგნი	ბარსეგოვა დ 4
	რვეული	შპს „21 საუკუნე“	რვეული	ბარსეგოვა დ 4
6	ჩვენი გარემო ( ბუნება)	სულაკაური	ნაწილი	ახვლედიანი
7	ხელოვნება	დიოგენე	წიგნი	ნ. კუნჭულიაია
8	ჩვენი საქართველო	კლიო	I-II ნაწილი	ავთანდილაშვილი
	რვეული	კლიო	რვეული	ავთანდილაშვილი
9	მუსიკა	„წყაროსთვალი“	I-II ნაწილი	ოთიაშვილი
	მუსიკა	„წყაროსთვალი“	რვეული	ოთიაშვილი

VII კლასი

N	საგანი	გამომცემლობა	ავტორი
---	--------	--------------	--------

1	ქართული	I – II „სწავლანი“	როდონაია
	ენის წიგნი	„სწავლანი“	როდონაია
2	მათემატიკა	I – II „ინტელექტი“	ვეფხვაძე, გოგიშვილი
3	ინგლისური	სულაკ New buildind Bridge	ჯაფარიძე
	ინგლისური (რვეული)	სულაკ New buildind Bridge	ჯაფარიძე
4	რუსული	„არტანუჯი“	ლორთქიფანიძე ს-2 ( არაა არჩეული)
	რუსული (რვეული)	„არტანუჯი“	ლორთქიფანიძე ს-2 ( არაა არჩეული)
5	ისტორია	„დიოგენე“	ლორთქიფანიძე
	ისტორია რვეული, რუკები	„დიოგენე“	ლორთქიფანიძე
6	გეოგრაფია	I – II „ბ. სულაკაური“	ბლიაძე, კერესელიძე
	გეოგრაფია რვეული, რუკები	„ბ. სულაკაური“	ბლიაძე, კერესელიძე
7	ბიოლოგია	„ბ. სულაკაური“	ახვლედიანი, შათირიშვილი
8	ფიზიკა	„დიოგენე“	ტატიშვილი
9	მოქალაქეობა	„დიოგენე“	ნოზაძე, ბოჭორიშვილი
10	ხელოვნება	„მერიდიანი“	მაჭარაშვილი
11	მუსიკა	„ინტელექტი“	ჩიკვაძე

### VIII კლასი

N	საგანი	გამომცემლობა	ავტორი
1	მშობლიური ენა და ლიტერატურა	I-II „სწავლანი“	როდონაია
	ენის წიგნი	„სწავლანი“	როდონაია
2	მათემატიკა	„ინტელექტი“	ვეფხვაძე, გოგიშვილი
3	ინგლისური	სულაკაური	ჯაფარიძე , New Building Bridges 8

	ინგლისური (რვეული)	სულაკაური	ჯაფარიძე , New Building Bridges 8
4	რუსული	„ 21-საუკუნე“	ბარსეგოვა 8
	რუსული (რვეული)	„ 21-საუკუნე“	ბარსეგოვა 8
5	ისტორია	„დიოგენე“	ახმეტელი, ლორთქიფანიზე
	ისტორია (რვეული)	„დიოგენე“	ახმეტელი, ლორთქიფანიზე
6	გეოგრაფია	„ბ. სულაკაური“	ბლიაძე, ჭანტურია
7	ბიოლოგია	I-II „ტრიასი“	ზაალიშვილი
8	ფიზიკა	„საქართველოს მაცნე“	ტულუში, შენგელია
9	ქიმია	„საქართველოს მაცნე“	ბუთხუზი, ფაცაცია
10	მოქალაქეობა	„დიოგენე“	ბაჩილავა
11	მუსიკა	„ინტელექტი“	ჩიკვაძე
12	ხელოვნება	„სულაკაური“	იოსელიანი

## IX კლასი

N	საგანი	გამომცემლობა	ავტორი
1	ქართული ენა და ლიტერატურა	„სწავლანი“	როდონაია
2	მათემატიკა	„ინტელექტი“	ვეფხვაძე, გოგიშვილი
3	ინგლისური	„ბაკურ სულაკაური“	ჯაფარიძე
4	რუსული	სულაკაური	მეგი კობერიძე
5	ისტორია	„დიოგენე“	ახმეტელი
6	გეოგრაფია	„ბ. სულაკაური“	ბლიაძე, ჭანტურია
7	ბიოლოგია	„კლიო“	სეხნიაშვილი
8	ფიზიკა	„საქართველოს მაცნე“	ტულუში, შენგელია, ლომიძე



9	ქიმია	„საქართველოს მაცნე“	ბუთხუზი, ფაცაცია
10/	სამოქალაქო	„დიოგენე“	ბაჩილავა, ლოსაბერიძე
11.	ხელოვნება	„სულაკაური“	იოსელიანი
12	მუსიკა	„ინტელექტი“	ჩიკვაძე

**X კლასი**

N	საგანი	გამომცემლობა	ავტორი
1	ქართული ლიტერატურა	სწავლანი	როდონაია
2	მათემატიკა	„ინტელექტი“	ვეფხვაძე, გოგიშვილი
3	ინგლისური	სულაკაური	ჯაფარიძე
4	რუსული	„ არტანუჯი“	ლორთქიფანიძე ს 4
	რუსული (რვეული)	„ არტანუჯი“	ლორთქიფანიძე ს 4
5	საქართველოს ისტორია	„ბ. სულაკაური“	უგულავა, გურგენიძე, ფერაძე, კაციტაძე
	ისტორია (რვეული)	„ბ. სულაკაური“	გიორგი უგულავა, გურგენიძე, კაციტაძე
6	გეოგრაფია	„ბ.სულაკაური“	ბლიაძე, ჭანტურია
7	ბიოლოგია	კლიო	სეხნიაშვილი
8	ფიზიკა	დიოგენე	ტატიშვილი
9	ქიმია	კლიო	ანდრონიკაშვილი
10	სამოქალაქო	დიოგენე	ბაჩილავა
11.	მუსიკა	„პეგასი“	ბარამიძე
12	ხელოვნება	„კლიო“	კლდიაშვილი

XI კლასი

N	საგანი	გამომცემლობა	ავტორი
1	ქართული	„მერიდიანი“	მაღლაკელიძე
2	მათემატიკა	„ინტელექტი“	ვეფხვაძე, გოგიშვილი
3	ინგლისური	„pearson“	Activate B <sup>1</sup>
4	რუსული	„ არტანუჯი“	ლორთქიფანიძე ს 6
	რუსული ( რვეული)	„ არტანუჯი“	ლორთქიფანიძე ს 6
5	ბიოლოგია	„ტრიასი“	ზაალიშვილი
6	ისტორია	„ბ. სულაკაური“	სანიკიძე, ფირცხალავა
7	გეოგრაფია	„ბ. სულაკაური“	ბლიაძე, ლაზარაშვილი
8	ფიზიკა	„ინტელექტი“	გედენიძე, ლაზარაშვილი
9	ქიმია	„კლიო“	ანდრონიკაშვილი

**XII კლასი**

N	საგანი	გამომცემლობა	ავტორი
1	ქართული	„მერიდიანი“	მალაკელიძე
2	მათემატიკა	„ინტელექტი“	ვეფხვაძე, გოგიშვილი
3	ინგლისური	„pearson“	Activate B <sup>1+</sup>
4	რუსული	„ არტანუჯი“	ლორთქიფანიძე ს 7
5	საქართველოს და მსოფლიოს ისტორია	“ბ.სულაკაური”	სანიკიძე. ფირცხალავა
6	სპორტი	-----	-----
7	არჩევითი	-----	-----
8	სამოქალაქო უსაფრთხოება და თავდაცვა	„სიდი“	ნ. ტალახაძე

სსსმ მოსწავლის სწავლება განახორციელდება ნებისმიერი/შესაბამისი კლასის/დონის გრიფირებული სახელმძღვანელოთი.

**შინ სწავლება**

სკოლა ვალდებულია შინსწავლების რეჟიმზე გადაიყვანოს ის მოსწავლეები, რომლებიც არ არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები, მაგრამ საჭიროებენ მკურნალობას ერთ თვეზე მეტი ვადით და აღნიშნული ცნობილი ხდება სკოლისათვის სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;

სკოლის მიერ შედგენილი განრიგის შესაბამისად, სკოლის მიერ განსაზღვრული მასწავლებელი, ახორციელებს მოსწავლესთან ვიზიტს; (შესაძლებელია განსაზღვრული მასწავლებელი არ ასწავლიდეს შინსწავლებაზე გადაყვანილ მოსწავლეს).

მოსწავლის შინსწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შინსწავლებაზე მყოფი მოსწავლისთვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნისთვის (გარდა სპორტის საგნობრივი ჯგუფით გათვალისწინებული საგნებისა) კვირაში მინიმუმ ერთი გაკვეთილის ჩატარებას.

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს შემაჯამებელი დავალებების ჩატარებაზე/აღდგენაზე მოსწავლისთვის ხელშეწყობას.

მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში, სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების შეფასებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ფიზიკური მდგომარეობა.

## სადამრიგებლო პროგრამა

### კლასის დამრიგებლის მოვალეობები

დამრიგებელს ევალება:

- გააცნოს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს (შემდგომში მშობელი) მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.);
- დაწყებით საფეხურზე ჩაატაროს სადამრიგებლო საათი არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე - არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე (მაგ.: კითხვის უნარის განვითარება (დაწყებით საფეხურზე), გარემოსდავითი კულტურის განვითარება და სხვ.) სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით.
- დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიური თუ სასკოლო გარემოში წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გადაჭრაში;
- მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში გაიგოს გამოუცხადებლობის მიზეზი და აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სკოლის ადმინისტრაციას;
- ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, უზრუნველყოს უსაფრთხოების ნორმების დაცვა სკოლაში (მორიგეობის დაცვა, დისტანცია მოსწავლეებს შორის, საკლასო ოთახების განთავსება და ა.შ.);
- ვირუსის პრევენციის მიზნით, შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებსა და მშობლებს;
- იყოს შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში;
- რეგულარულად (მინიმუმ თვეში ერთხელ) მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. დაუშვებელია ერთი მოსწავლის დისციპლინისა და აკადემიური მიღწევის შესახებ სხვა მოსწავლის/მშობლის თანდასწრებით საუბარი;
- საჭიროების შემთხვევაში, შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;

- სასწავლო წლის ბოლოს გააანალიზოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის მიღწევები, გაკვეთილებზე დასწრება და ქცევა მასწავლებლებისგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მოამზადოს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიაწოდოს მშობელს და შეინახოს თავადაც, მოსწავლის განვითარებაზე შემდგომი დაკვირვების მიზნით;
- მოსწავლის სხვა სკოლაში გადასვლის შემთხვევაში, მოამზადოს ინფორმაცია მისი აკადემიური მიღწევისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ და მოათავსოს მოსწავლის პირად საქმეში.
- საკუთარი და სხვა მასწავლებლებისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, IV კლასის ბოლოს დაწეროს შემაჯამებელი წერილობითი შეფასება.

#### დამრიგებლის საადმინისტრაციული მუშაობა ემყარება შემდეგ პრინციპებს:

1. სრულფასოვანი აღზრდა - საადმინისტრაციული მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;
2. მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;
3. მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;
4. თანამშრომლობის პრინციპი - დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

#### სადამრიგებლო საათის/პროგრამის განხორციელება

სადამრიგებლო საათი ხელს უწყობს მოსწავლეების სოციალურ და პიროვნულ განვითარებას, აყალიბებს ნდობისა და პატივისცემის ატმოსფეროს, რაც წარმოადგენს მოსწავლეებსა და მასწავლებელ-დამრიგებელს შორის პოზიტიური ურთიერთობების საფუძველს.

დამრიგებლები, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, წინასწარ გეგმავენ შეხვედრებსა და ღონისძიებებს.

დამრიგებლის კლასთან მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით:

1. საუბრები მოსწავლეებთან;
2. დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით;

3. ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება;
4. ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა;
5. მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან აქტიური თანამშრომლობა და ა.შ.

შპს „ახალი ქართულ-ევროპული სკოლის“ კლასის დამრიგებელთა სია

№	დამრიგებლის გვარი, სახელი	კლასი
1.	ეკა გაბელია	I
2	ლელა დოლიაშვილი	II
3	ნინო ქვათაძე	III
4	გოჩა ნარსია	IV
5	მარი ჭანკვეტაძე	V
6	ნატა წერეთელი	VI
7	გულნარა წყაროზია	VII
8	ივეტა დოლაკიძე	VIII
9	ნათია დარახველიძე	IX
10	მზია ბაყაშვილი	X

11	შორენა სიმონიშვილი	XI
12	თამთა მოდებაძე	XII

### ინკლუზიური განათლება

#### ინკლუზიური განათლება

ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

#### სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონეა მოსწავლე (შემდგომში - სსსმ მოსწავლე), რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს შესაბამისი კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.
2. სსსმ მოსწავლე შეიძლება იყოს მოსწავლე, რომელსაც აქვს:
  - ა) ფიზიკური შეზღუდვა;
  - ბ) ინტელექტუალური განვითარების დარღვევა;
  - გ) სწავლის უნარის დარღვევა;
  - დ) სენსორული განვითარების დარღვევა (სმენის და/ან მხედველობის);
  - ე) მეტყველების განვითარების დარღვევა;
  - ვ) ქცევითი და ემოციური დარღვევა;
  - ზ) გრძელვადიანი ჰოსპიტალიზაციის საჭიროება;

- თ) სოციალური ფაქტორებით გამოწვეული სირთულეები სწავლაში, რის გამოც ვერ ძლევს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ი) ენობრივი ბარიერის გამო გამოწვეული სირთულეები სწავლაში.
3. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება ხდება სამინისტროს ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის (შემდგომში - მულტიდისციპლინური გუნდი) შეფასებისა და დასკვნის საფუძველზე, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ განისაზღვრება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის საჭიროება. ადაპტაციის სახეებია: მოდიფიკაცია, აკომოდაცია, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ალტერნატიული სასწავლო მიზნები, ალტერნატიული სასწავლო გეგმა ან/და გაფართოებული სასწავლო გეგმა.
  4. სსსმ მოსწავლისთვის სკოლა უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაციას, სასწავლო გარემოს აკომოდაციას და საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავებას.
  5. მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია ნიშნავს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების რაოდენობრივ და/ან თვისებრივ ცვლილებებს, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს სასწავლო მიზნების რაოდენობრივ შემცირებას, გამარტივებას მოსწავლის მზაობისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.



6. სასწავლო გარემოს აკომოდაცია ნიშნავს სასწავლო გარემოს ისეთი ცვლილებას, რომელიც არ იწვევს ეროვნული სასწავლო გეგმის შინაარსის შეცვლას, არამედ ხელს უწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს და პირობების შექმნას ქვემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებში: ა) ინსტრუქციის აკომოდაცია;
- ბ) გარემო პირობების აკომოდაცია;
- გ) შეფასების აკომოდაცია;
- დ) დროის, გრაფიკის აკომოდაცია.
7. ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება ხდება მძიმე, ღრმა და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის, თუ შეუძლებელია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ზოგიერთი საგნის სწავლება. ალტერნატიული სასწავლო გეგმა გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს და აღწერს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურისათვის საგნების საგანმანათლებლო სტანდარტს, სწავლების რეკომენდაციებს, მიღწევების, ფუნქციური უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებებს. ალტერნატიული სასწავლო გეგმის მიხედვით თითოეული საგანი ისწავლება მრავალფეროვანი სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით და მოსწავლეს ფუნქციურ და აკადემიურ ცოდნას აძლევს. ალტერნატიული სასწავლო გეგმა განკუთვნილია მძიმე გონებრივი განვითარების და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეებისთვის როგორც სპეციალიზებულ, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის შემთხვევაში და ასევე შინ სწავლებისას. ალტერნატიული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია – შედეგზე ორიენტირება მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ფოკუსირებული სწავლების ფორმებისა და სტრატეგიების გამოყენებით. გონებრივი განვითარების მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეების სწავლებისას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ხელმძღვანელობს ალტერნატიული სასწავლო გეგმით. ალტერნატიული სასწავლო გეგმა ზოგადი და სპეციალიზებული განათლების სფეროში მოღვაწე ყველა სუბიექტს ავალდებულებს უზრუნველყოს მძიმე გონებრივი განვითარების და მრავლობითი დარღვევების მქონე მოსწავლეთა სწავლების მაღალი სტანდარტი, რომლის ფუნდამენტური პრინციპი (ეროვნული სასწავლო გეგმის მსგავსად) – სასწავლო შედეგებზე ორიენტირებაა. ალტერნატიული სასწავლო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელია: სპეციალიზირებულ სკოლაში საგნის მასწავლებელი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საგნის მასწავლებელი სპეციალური მასწავლებელთან ერთად, შინ სწავლებისას – ყველა ის მასწავლებელი, რომელიც შინ სწავლების პროგრამას ახორციელებს.

#### ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციით შექმნილი სასწავლო გეგმა.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს შესაბამისი კლასის დამთავრებისთვის მოსალოდნელ სასწავლო შედეგებს, მათ მისაღწევად განსაზღვრულ სწავლების სტრატეგიასა და დამატებით საშუალებებს/ღონისძიებებს, შესაბამისი სასწავლო გარემოს შესაქმნელად გასატარებელ ზომებს.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სსსმ მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი მიღწევის გზებს, მოსწავლის ინტერესებსა და ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
4. სკოლა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო უკვე იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლეებისთვის - ორი კვირის ვადაში ქმნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება მოიცავდეს ყველა საგანს ან რომელიმე კონკრეტულ საგანს/საგნებს სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად.
6. ყოველი სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში დეტალურად უნდა განისაზღვროს:
  - ა) სასწავლო შედეგები, სწავლების სტრატეგიები და სასწავლო (როგორც საკლასო, ისე საშინაო) აქტივობები შერჩეულ საგანში/საგნებში;
  - ბ) დრო, რომელსაც მასწავლებელი დაუთმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას თითოეულ საგანში;
  - გ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ჯგუფური/ინდივიდუალური მეცადინეობები, მეცადინეობების გრაფიკი, ადგილი და ხანგრძლივობა;
  - დ) დამატებით ჯგუფურ/ინდივიდუალურ მეცადინეობებზე პასუხისმგებელი პირი: საგნის მასწავლებელი, მშობელი და/ან სპეციალური მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტი;
  - ე) სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსი (სახელმძღვანელოები და მოსწავლისათვის საჭირო სხვა საგანმანათლებლო/განმავითარებელი რესურსი) და რესურსით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, მათ შორის, მშობელიც; ვ) მოსწავლისათვის საჭირო დამატებითი ტექნიკური რესურსები.
7. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბავშვის კოგნიტური, აკადემიური, საგნობრივი კომპეტენციების, ინტერესების, სოციალური, ქცევითი, ემოციური, მოტორული და სხვა სფეროების შესახებ, ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

#### ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესამუშავებლად განისაზღვრება ისგ ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. ისგ-ს ჯგუფი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ისგ-ს შიდა მონიტორინგში და მასალა წარუდგინოს სკოლის დირექტორს.
2. სკოლის ისგ ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან:
  - ა) სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი;
  - ბ) საგნის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან მოსწავლეს;

- გ) სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები;
  - დ) სსსმ მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი;
  - ე) საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სხვა სპეციალისტი.
3. ისე ჯგუფს უნდა ჰყავს კოორდინატორი, რომელიც წარმართავს ჯგუფის წევრების მუშაობას და პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობაზე. ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევს დამრიგებელი.
  4. ისე ჯგუფი იკრიბება, სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ 4-ჯერ; ისე ჯგუფის წევრები შეხვედრაზე განიხილავენ სსსმ მოსწავლის მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს, მის სასწავლო შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საჭიროებას, სწავლებაში ახალი მიდგომებისა და მეთოდების დანერგვის საჭიროებას და აუცილებელ რესურსებს.
  5. ისე ჯგუფის შეხვედრებზე სპეციალური მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი აწარმოებს სხდომის ოქმებს. ყველა სხდომის ოქმი ინახება მოსწავლის პირად საქმეში.
  6. სასწავლო წლის დასასრულს, ისე ჯგუფის წევრი თითოეული მასწავლებელი აფასებს შესაბამის საგანში სსსმ მოსწავლის მიღწევებს (ცოდნა, უნარ-ჩვევები) შესაბამისობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და ანგარიშს წარუდგენს დირექტორს, პედაგოგიურ საბჭოს და მშობელს.

#### სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენები

1. სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, როგორც ფასდება ნებისმიერი სხვა მოსწავლის აკადემიური მიღწევა. თუ სსსმ მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ფასდება მის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევის დონე. სსსმ მოსწავლე, რომელიც წარმატებით ძლევს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ფასდება მაღალი ქულით.
2. სსსმ მოსწავლისთვის სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულები გამოითვლება იმავე პრინციპით, როგორც სხვა მოსწავლეებისთვის.
3. მულტიდისციპლინური გუნდის წინასწარი დასკვნის საფუძველზე, გამონაკლისის სახით, შესაძლებელია:
  - ა) სსსმ მოსწავლე გადავიდეს მომდევნო კლასში იმ შემთხვევაში, თუ ის, დასკვნის საფუძველზე, არ ესწრება ერთ ან რამდენიმე საგანს და არ აქვს შეფასება შესაბამის საგანში/საგნებში.
  - ბ) სსსმ მოსწავლის წლიური ქულა გამოანგარიშდეს საგნის/საგნების ერთი სემესტრის შეფასების საფუძველზე.
4. საბაზო/საშუალო საფეხურის სსსმ მოსწავლის მიერ სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30 % და მეტი გაცდენის შემთხვევაში, ის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად, ექსტერნატის ფორმით აბარებს გამოცდას.

#### სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება

1. იმ შემთხვევაში, თუ სსსმ მოსწავლეს ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს სკოლაში სიარულის საშუალებას, სკოლა მიმართავს მულტიდისციპლინურ გუნდს, რომლის დასკვნის საფუძველზეც სსსმ მოსწავლე სწავლას განაგრძობს შინ სწავლების ფორმით. ამ შემთხვევაში მოსწავლე ირიცხება სკოლაში, მაგრამ არ ესწრება გაკვეთილებს. სკოლა უდგენს მას ინდივიდუალური სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის მიხედვითაც მოხდება სსსმ მოსწავლის შინ სწავლება.
2. მულტიდისციპლინური გუნდი განსაზღვრავს და სკოლასთან და მშობელთან ათანხმებს სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.
3. შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მაქსიმალურად იქნება მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლა დაადგენს განრიგს, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ განსაზღვრული საგნის მასწავლებელი და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი განახორციელებენ სსსმ მოსწავლესთან ვიზიტებს. სკოლამ/ისგ ჯგუფმა უნდა განახორციელოს შინ სწავლების პროცესის მონიტორინგი სკოლის მიერ შერჩეული ფორმატით.
4. შინ სწავლების პროცესში ჩართული იქნება სსსმ მოსწავლის მშობელი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს ყოველდღიური დავალებების შესრულებაში.
5. შინ სწავლების პროცესში შესაძლებელის გამოყენებულ იქნეს ინტერნეტი და ვიდეოკონფერენციები.
6. სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს შინ სწავლებაზე მყოფი მოსწავლისათვის შესაბამისი კლასის საათობრივი ბადით განსაზღვრული თითოეული საგნის (გარდა ფიზიკური აღზრდისა (სპორტი)) კვირაში მინიმუმ ერთი აკადემიური საათის ოდენობით ჩატარებას.

იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ (სსსმ) სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს:

1. სკოლა ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლისათვის მიმართულების განსაზღვრას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას.
2. სსსმ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
3. მასწავლებელს, მულტიდისციპლინურ გუნდთან შეთანხმებით, საჭიროებისამებრ, შეეძლება სსსმ მოსწავლეს შეუცვალოს გაკვეთილები ან შეუმციროს რაოდენობა.
4. მასწავლებელს შეეძლება საჭიროებისამებრ, შეიმუშაოს ალტერნატიული აქტივობები;
5. ცოდნის ხარისხის გაზრდის მიზნით, ჩაუტაროს დამატებითი მეცადინეობა, შეაფასოს ინდივიდუალური მიღწევების მიხედვით;
6. სკოლა წაახალისებს მოსწავლეს, ზოგჯერ უბიძგებს კიდევ, გახდეს დამოუკიდებელი, რამდენადაც ეს მისთვის იქნება შესაძლებელი;

7. სკოლა ჩამოუყალიბებს მოსწავლეს სხვადასხვა უნარს (კითხვის, წერისა და აზროვნების უნარები, რომელიც დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საჭირო);
8. ვიზუალური გზით სწავლებისას გამოყენებული იქნება ნახატმანიპულაციები, (მათემატიკის) დიაგრამები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, ვიდეოები, ფორმატები, სლაიდები და სხვა თვალსაჩინოებები;
9. გამოყენებული იქნება სხვადასხვა თამაში სოციალური განვითარებისთვის;
10. სსსმ მოსწავლის სწავლების პროცესში აქტიურად იქნება ჩართული სსსმ მოსწავლის მშობელი.

ამჟამად, სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება

”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, 2022-2023 სასწავლო წელს შპს „ახალი ქართულ-ევროპული სკოლა“ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას. კერძოდ:

- რუსული ენა -- ფაკულტატური სახით /I – IV კლ/ კვირეული დატვირთვა თითოეულ კლასში 2სთ;
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება -- წრეობრივი /I-IVკლ/ ისწავლება კვირაში ერთხელ /დღის მეორე ნახევრის დამატებითი მომსახურების განრიგის მიხედვით/;
- მუსიკა -- წრეობრივი /I-IVკლ/ ისწავლება კვირაში ერთხელ /დღის მეორე ნახევრის დამატებითი მომსახურების განრიგის მიხედვით/;
- აერობიკა -- წრეობრივი /I-IVკლ/ ისწავლება კვირაში ერთხელ /დღის მეორე ნახევრის დამატებითი მომსახურების განრიგის მიხედვით/;

სკოლაში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების მომსახურება I-V კლასებისთვის.

დამატებითი მომსახურების საჭიროების დასაბუთება

სკოლის პოლიტიკიდან გამომდინარე, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება შემეცნებითი, კულტურული, სპორტული და სხვა მიმართულებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებმა მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდა სკოლის მოსწავლეთა/მშობელთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. მნიშვნელოვნად გათვალისწინებულია მშობელთა კითხვარების გაანალიზების შედეგად გამოკვეთილი ინტერესები.

ქართული ხალხური ცეკვის სტუდია „ივერიელი“

